20410484
კონფიდენციალური
I კატეგორია
038-1

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

განკარგულება

27.11.2025 №1141-1

თბილისი

შპს „მობაილ კრედიტის“ (ს/ნ: 405480126) სესხის გამცემი სუბიექტისთვის ფულადი ჯარიმის დაკისრების თაობაზე

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, ამავე კანონის 52^2 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტებისა და საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 27 სექტემბრის №218/04 ბრძანებით დამტკიცებული „სესხის გამცემი სუბიექტისთვის ფულადი ჯარიმის ოდენობის განსაზღვრის, დაკისრებისა და აღსრულების წესის“ 2^1 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე:

1. შპს „მობაილ კრედიტს“, „ანგარიშვალდებული პირის მიერ გარიგების თაობაზე ინფორმაციის აღრიცხვის, შენახვისა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისთვის წარდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის 2020 წლის 5 ივნისის №1 ბრძანების პირველი მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნის დარღვევის გამო, დაეკისროს ფულადი ჯარიმა 5,000 (ხუთი ათასი) ლარის ოდენობით.
2. აღნიშნული თანხა გადახდილ უნდა იქნას სახელმწიფო ხაზინის ერთიან ანგარიშზე - TRESGE22, შემდეგი სახაზინო კოდით 302003260.
3. აღნიშნული განკარგულების გასაჩივრება შეიძლება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი №64) მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
4. ამ განკარგულების იძულებით აღსასრულებლად მიქცევა განხორციელდეს შპს „მობაილ კრედიტისთვის“ განკარგულების გაცნობიდან 30 კალენდარული დღის ვადის გასვლის შემდეგ. აღნიშნული 30 კალენდარული დღის განმავლობაში შპს „მობაილ კრედიტი“ ვალდებულია გადაიხადოს ჯარიმა და გადახდიდან 2 სამუშაო დღის ვადაში, NBFI დისტანციური ზედამხედველობის პორტალის საშუალებით შეატყობინოს საქართველოს ეროვნულ ბანკს და ატვირთოს

გადახდის დამადასტურებელი საგადახდო დავალების ასლი. NBFI დისტანციური ზედამხედველობის პორტალის საშუალებით შეტყობინების წარმოუდგენლობის შემთხვევაში, დაკისრებული ფულადი ჯარიმა არ ჩაითვლება გადახდილად და განხორციელდება მისი იძულებით აღსასრულებლად მიქცევა. ამ განკარგულების აღსრულება დაევალოს საქართველოს ეროვნული ბანკის არასაბანკო დაწესებულებების ზედამხედველობის დეპარტამენტს.

5. ეს განკარგულება ამოქმედდეს მხარისათვის გაცნობისთანავე.

ნათელა თურნავა